ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

1

წერილის ნომერი: **48-482204057**
თარიღი: **09/02/2022**
პინი: **8653**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტს.

გთხოვთ განიხილოთ.

დანართი ,, 10 ‘‘ ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ.წყალტუბო ---- თებერვალი, 2022 წელი

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ.ბ“ და ,,დ.ე“ ქვეპუნქტების, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ვებ. გვერდი www.matsne.gov.ge. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.122.016434. 04/12/2017) და ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა: მ.მამისეიშვილი

შეთანხმებულია: გ.ყურაშვილი

ვ.ნადარეიშვილი

დანართი №1

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა, თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

| იერარქიული რანგი | თანამდებობათა დასახელება | საშტატო რიცხოვნება | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|
| მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირები | | | |
| | მერი | 1 | 5060 |
| | მერის პირველი მოადგილე | 1 | 3850 |
| | მერის მოადგილე | 1 | 3520 |
| პოლიტიკურ თანამდებობის პირთა რაოდენობა | | 3 | |
| მერის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოსამსახურეები | | | |
| | ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (მერის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში) | 17 | 1650 |
| მერის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა | | 17 | |
| მერიის სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოსამსახურეები | | | |
| 1. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური | | | |
| პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი | 1 | 2530 |
| 1.1. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1430 |
| მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 2 | 1100 |
| 1.2 .ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილება | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1430 |
| 1.3. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| | მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი | 3 | 1430 |
| | მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი | 27 | 1100 |
| | მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი | 3 | 990 |
| | მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი | 4 | 990 |
| **1.4. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილება** | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1430 |
| მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 1100 |
| **1.5. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება** | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1430 |
| **1.6. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება** | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1430 |
| მეოთხე რანგი | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 990 |
| საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა | | 58 | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური | | | |
| პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი | 1 | 2530 |
| 2.1.საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1430 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1430 |
| 2.2.საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახაზინო განყოფილება | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1430 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1430 |
| 2.3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1430 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1430 |
| საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა | | 13 | |
| 3.ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური | | | |
| პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი | 1 | 2530 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 4 | 1430 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1430 |
| 3.1.ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის აგრარულ საკითხთა განყოფილება | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1430 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1430 |
| საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა | | 9 | |
| 4.სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური | | | |
| პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის | 1 | 2530 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი | | |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1430 |
| 4.1.სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილება | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1430 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1430 |
| 4.2.სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილება | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1430 |
| საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა | | 10 | |
| 5.ზედამხედველობის სამსახური | | | |
| პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -- სამსახურის უფროსი | 1 | 2530 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 5 | 1430 |
| საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა | | 6 | |
| 6.ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | |
| პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -- სამსახურის უფროსი | 1 | 2530 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-კოორდინატორი ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებში | 1 | 1430 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სოციალური მუშაკი ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებში | 1 | 1430 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-ინსპექტორი ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებში | 1 | 1430 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1430 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1430 |
| მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 1100 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6.1.ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილება | | | |
| მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი | 1 | 1980 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1430 |
| საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა | | 12 | |
| 7.კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | | | |
| პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი | 1 | 2530 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1430 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1430 |
| მეოთხე რანგი | მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 990 |
| საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა | | 8 | |
| 8.სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური | | | |
| პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი | 1 | 2530 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1430 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1430 |
| მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 2 | 1100 |
| მეოთხე რანგი | მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 990 |
| საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა | | 7 | |
| 9.შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური | | | |
| პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი | 1 | 2530 |
| მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1430 |
| მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 1430 |
| საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა | | 5 | |
| მერიის საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა | | 148 | |

**შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა პოზიციები და თანამდებობრივი სარგოები**

| პოზიცია | ერთეულის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მერის მრჩეველი | 1 | 1700 |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მერის თანაშემწე | 2 | 1650 |

| | | |
|---|---|---|
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – კონსულტანტი | 3 | 1200 |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი | 1 | 1200 |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ფსიქოლოგი | 1 | 1000 |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – კომპიუტერული სისტემისა და ქსელების სპეციალისტი | 1 | 1200 |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – დამხმარე სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში | 1 | 950 |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის მდივანი | 1 | 1200 |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მერის მძღოლი | 1 | 1200 |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მძღოლი | 1 | 1100 |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – დამლაგებელი | 5 | 750 |
| საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- კოორდინატორი | 1 | თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით. |
| საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- კოორდინატორის ასისტენტი | 1 | თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით. |
| საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- ტექნიკური მენეჯერი | 1 | თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით. |
| საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- PR მენეჯერი | 1 | თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით. |
| საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- საფინანსო მენეჯერი | 1 | თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით. |
| საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ოფისის მენეჯერი | 1 | თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით. |

| | | |
|---|---|---|
| საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - სპეციალისტი | 2 | თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით. |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა | 26 | |

### განმარტებითი ბარათი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილების პროექტში ცვლილების შეტანა განპირობებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტის 2 საშტატო ერთეულის (მაღლაკის და ფარცხანაყანევის ადმინისტრაციულ ერთეულებში) დამატებით, რაც ,,პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N 199 დადგენილების თანახმად არ წარმოადგენს რეორგანიზაციას.

მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტის ფუნქციებს შეადგენს: ა) ინფორმაციის მიწოდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ; ბ) დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე მერის წარმომადგენლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიაზე გასაცემი მერიის დებულებით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტაციის პროექტების მომზადება. გ) მოქმედი კანონმდებლობით, მერის დავალებით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება;

დადგენილების პროექტში ცვლილების შეტანა მიზნად ისახავს მერის წარმომადგენლის ფუნქციების ეფექტურად, კოორდინირებულად და ხარისხიანად განხორციელების ხელშეწყობასა და შესაბამის სფეროში არსებული გამოცდილების საფუძველზე სამსახურის ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად და სრულყოფილად განხორციელებას.

ბ) არსი: პროექტით გათვალისწინებულია:
1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში, კერძოდ, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტის 2 საშტატო ერთეულის (მაღლაკის და ფარცხანაყანევის ადმინისტრაციულ ერთეულებში) დამატება.

2. აღნიშნულიდან გამომდინარე ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტის საშტატო რიცხოვნება ნაცვლად 35-ისა გახდება 37, შესაბამისად მერიის საერთო საშტატო რიცხოვნებაც გაიზრდება და გახდება 148.
გ) ფინანსური დასაბუთება:
საშტატო ნუსხის ცვლილება არ გამოიწვევს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული სახელფასო ფონდის ზრდას.

წერილის ნომერი:**01-48220399**
თარიღი: **08/02/2022**

**ადრესატი:**

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს**

**ბატონ გენადი ბალანჩივაძეს**

ბატონო გენადი,

როგორც მოგეხსენებათ წყალყუბოს მუნიციპალიტეტის მაღლაკის ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრობს 7 000 პირი, ხოლო ფარცხანაყანევის ადმინისტრაციულ ერთეულში 11 000 პირი. მითითებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებს ახორციელებს 2-2 ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი. აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის რიცხოვნობიდან და ადმინისტრაციულ ერთეულში მიმართვიანობიდან, ასევე ტერიტორიული არეალიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ადმინისტრაციული ხელშეკრულებით 1-1 პირის აყვანა, რათა ხსენებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სრულყოფილად განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N52 დადგენილებაში ცვლილების პროექტის მომზადება, საკრებულოს სხდომაზე წარდგენის მიზნით.

პატივისცემით,

მაია ფანჩულიძე

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური-მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება-განყოფილების უფროსი

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის

# დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ, 2022 წლის 24 თებერვლის სხდომაზე განიხილა საკითხი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N 52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე მაკა ჭელიძე:

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილების პროექტში ცვლილების შეტანა განპირობებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტის 2 საშტატო ერთეულის (მაღლაკის და ფარცხანაყანევის ადმინისტრაციულ ერთეულებში) დამატებით, რაც ,,პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ’’ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N 199 დადგენილების თანახმად არ წარმოადგენს რეორგანიზაციას.

მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტის ფუნქციებს შეადგენს: ა) ინფორმაციის მიწოდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ; ბ) დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე მერის წარმომადგენლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიაზე გასაცემი მერიის დებულებით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტაციის პროექტების მომზადება. გ) მოქმედი კანონმდებლობით, მერის დავალებით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება;

დადგენილების პროექტში ცვლილების შეტანა მიზნად ისახავს მერის წარმომადგენლის ფუნქციების ეფექტურად, კოორდინირებულად და ხარისხიანად განხორციელების ხელშეწყობასა და შესაბამის სფეროში არსებული გამოცდილების საფუძველზე სამსახურის ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად და სრულყოფილად განხორციელებას.

ბ) არსი: პროექტით გათვალისწინებულია:
1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში, კერძოდ, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტის 2 საშტატო ერთეულის (მაღლაკის და ფარცხანაყანევის ადმინისტრაციულ ერთეულებში) დამატება.

2. აღნიშნულიდან გამომდინარე ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტის საშტატო რიცხოვნება ნაცვლად 35-ისა გახდება 37, შესაბამისად მერიის საერთო საშტატო რიცხოვნებაც გაიზრდება და გახდება 148.
გ) ფინანსური დასაბუთება:
საშტატო ნუსხის ცვლილება არ გამოიწვევს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული სახელფასო ფონდის ზრდას.